დანართი
დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის
2022 წლის 07 დეკემბრის №01-02/315 ბრძანებით

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურებს, ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებისა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 2. პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (დამსაქმებელი, კოლეჯი, სახელმწიფო უწყება და სხვა);
2. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება მისი მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნადობის გათვალისწინებით, შესაბამისი კვლევის ან დამსაქმებლის მომართვიანობის საფუძველზე;
3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ;
4. სამუშაო ჯგუფის წევრები შესაძლოა იყვნენ: პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლები, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, პროფორიეტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სხვა დაინტერესებული პირები;
5. შემუშავებული პროგრამის ვერიფიკაცია ხდება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ;
6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ;

7. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას თან უნდა ახლდეს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;
8. კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებს/პროფესიული მომზადების პროგრამებს/პროფესიული გადამზადების პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული მომზადების პროგრამებს/პროფესიული გადამზადების პროგრამებს კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროფესიული მომზადების პროგრამები/პროფესიული გადამზადების პროგრამები დამტკიცების შემდეგ, რეგისტრირდება კოლეჯის სარეგისტრაციო ჟურნალში და ენიჭება კოლეჯის შიდა სარეგისტრაციო ნომერი.“

მუხლი 3 . პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების წესი

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად;
2. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, სწავლის შედეგების მიღწევისათვის მსმენელის სასწავლო დატვირთვა ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური შედეგ(ებ)ისათვის გათვალისწინებულ დატვირთვას, რაც არ გამორიცხავს მცირედ ცვლილებებს;
3. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, დაწესებულება ვალდებულია, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს შესაბამის მოდულზე დაშვების წინაპირობები;

მუხლი 4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, იმ პროგრამაში რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროგრამა არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, შშრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე;
2. თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, კოლეჯი ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს(შემდეგში ცენტრი);
3. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, პროგრამაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე ცენტრს;
4. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ერთვება ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი, განათლების მართვის საინფორმაცია სისტემაში ინფორმაცია უნდა აისახოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;
5. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით;
6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
7. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე პროცედურის მე-2 მუხლის შესაბამისად;

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მისი განვითარება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ვრცელდება, სსიპ - კოლეჯის ,,ბლექსი“ პროგრამ(ებ)ის განხორციელების ყველა მისამართზე;

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან: სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები (ქედისა და შუახევის მისამართებზე), ზრდასრულთა განათლების კოოედინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,მომზადების/გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად ფასდება:

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა (შემდგომში - „პროგრამა“);
2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი (მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ან/და სწავლების პროცესში გამოყენებული მასალა-ნედლეული);
3. სასწავლო პროცესი, შეფასების პროცესი, შეფასების მტკიცებულება;
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (შემდგომში განმახორციელებელი პირები).

საგანმანათლებო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისთვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება მსმენელების და განმახორციელებელი ადამიანური პერსონალის დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების გამოკითხვით.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების აღმოფხვრის და აღნიშნული საქმიანობის განვითარების მიზნით და წარუდგენს დირექტორს.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე **„დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - განავითარე“** მოდელზე.

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- **,,დაგეგმე**“ - პროგრამის, სასწავლო გარემოსა და განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით მუშავდება შეფასების კრიტერიუმები (დაკვირვების ჩეკლისტები, კითხვარები), იგეგმება

განსახორციელებელი ღონისძიებების გრაფიკი და ეცნობა დაინტერესებულ მხარეებს;

- **„განახორციელე“** - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული აქტივობების განხორციელება:

- ✓ მსმენელების მიღება/ჩართვა სასწავლო პროცესში;
- ✓ სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- ✓ პროგრამის განვითარების, შინაარსობრივი დახვეწის მიზნით მსმენელების და განმახორციელებელი პირების გამოკითხვა;
- ✓ სასწავლო გარემოს (მატერიალური რესურსების, მასალა-ნედლეულის) გაუმჯობესების მიზნით მსმენელების და განმახორციელებელი პირების გამოკითხვა;
- ✓ განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლი;
- ✓ განმახორციელებელი პირების საჭირეობათა კვლევა.

„შეამოწმე“ - მონაცემების შეფასება, მონაცემების ანალიზი. კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

„განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი ფაქტორების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება.

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მიერ პროგრამის დასრულებამდე ტარდება მსმენელთა კმაყოფილების კვლევა, პროგრამის, სასწავლო გარემოს და განმახორციელებელი პირების შეფასების მიზნით. განმახორციელებელი პირების გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა პროგრამისა და სასწავლო გარემოს შეფასების მიზნით.

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ მიერ სასწავლო პროცესის მონიტორინგის და განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხორციელდება პროგრამის განხორციელების განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მიერ.

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საჭირეობათა კვლევა ხორციელდება ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ.

კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მონიტორინგი ტარდება ყოველწლიურად პროფოერიენტაციისა და კარიერის დაგემვის მენეჯერის მიერ.